

832

1970



ორგანო სსრკ-სთვის. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.

Organe du Bureau à l'Étranger du parti Social-démocrate de Géorgie.

რვაენი

დროშა

“ NOTRE DRAPEAU ”

დაარსებულია 1904 წლის დეკემბერში.

№ 50

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ბრძოლა თავისუფლებისთვის.

ბ. ლეჟავა—ვინ მოამზადა და გადაწყვიტა საქარ. დაპყრობა.

ა. ბადრიძე—მცირე შენიშვნები დიდ საკითხზე.

გ. ინახარიძე—«კოალიციური კარუსელი».

დ. ურატაძე—რომანი «ფერიცვალობა».

აღ. ტატიშვილი—ჩენოსლოვაკია განაგრძობს ბრძოლას.

ჩ. უკრაინის ეროვნული მოძრაობიდან.

ეგტ. ამულაძე—გმირთა ლანდები.

ნასი—გმირი—მწერალი.

ამიონანი—გაკვრით.

მ. იმნაიშვილი—ნ. ორაგველიძის გარდაცვალება.

მ. მელუა—ვასილ ტულუში. და სხვ.

პარტიის.

ო ა ნ ვ ა რ ი.

Paris.

1970

ბრძოლა თავისუფლებისთვის.

საბჭოთა მოწინავე საზოგადოების შვირე ნაწილი ამოძრავდა. სჩანს დიქტატურაში ვერ შესძლო ინტელექტუალურ ძალთა გონებიდან საეხებით აღმოფხვრა თავისუფლების მოპოების სურვილი. მათი ბრძოლა ხდება უმთავრესად იმ კონსტიტუციის ფარგლებში, რომელიც შეთხზულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ. რამოდენიმედ მისი სრული განხორციელება იძლევა მნიშვნელოვან გარანტიას. საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრების ნორმალურ მსვლელობისთვის. მაგრამ სტალინისა თუ მის შემკვიდრეთა ხელში კონსტიტუცია ხომ მუდამ იყო და არის აშკარა სადემოკრატიო იარაღი, — თითქოს მშრომელი მასების ინტერესების და სურვილების გამომხატველი.

ამ ლეგალურ საშუალებას მოხერხებულად იყენებს ოპოზიციონურად განწყობილი ძალები და მორალურად ანიარალებს ხელისუფლებას.

ისინი მოითხოვენ ცენზურის მოხსნას, სიტყვის და პრესის თავისუფლებას, ე. ი. კონსტიტუციის მუხლების განხორციელებას.

ლიბერალური აზრების წარმოშობას დასაბამი მისცა, დესტალინიზაციის შემდეგ იმ ეკონომიურ რეფორმების გატარების საჭიროებამ, რომელიც აუცილებელი გახდა პერმანენტულ კრიზისების გამო, ხოლო მათი განხორციელება შეუძლებელი, რადგან ხელისუფლებამ საკუთარი ბატონობის დაკარგვის შიშით, ზევიდან კარნახის უფლება არსებითად დაუტოვა ეკონომიურ ცენტრს.

ერთჯერ დაწყებული სისტემის კრიტიკა არ შეჩერებულა, ის განვითარდა და გამომხატურება კპოვა ინტელექტუალურ წრეებში. მათში გაიდვიდა უმაღლესი მოვალეობის შეგნებამ, ე. ი. ხალხის სულიერ პოლიტიკურ ტყვეობიდან გამოსყვანამ, რაცქმუდამ შეადგენდა შემომქმედ — მწერალთა და სწავლულთა საქმეს.

ამხრივ უაღრეს მნიშვნელობის არის აკადემ. სახაროვის მანიფესტი, რომელმაც მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო...

მოსკოვში დაარსდა «სამოქალაქო უფლების დამცველთა ჯგუფი». გაიგზავნა საპროტესტო მიმართვა ერთა კავშირში. პოლიტიკურ პარტიართა თავდაპურა სასამართლოებში, მათი გმირული სიტყვები — უსამართლოების გასამხელად და მთავრობის გასაწბილებლად, «დემოკრატიული მოძრაობის» — განფურცლების გავრცელება. დიდი ხნიდან დაწყებული ყრუ,



უჩინარი; ძლიერი საზოგადოებრივი ძვრები სარჩულად დაედო იმ ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან მხატვრულ ლიტერატურულ შემოქმედების ნაყოფს (დუდინცევი, სოლჟენიცინი, კუზნეცოვი, გინზბურგი და სხვები); რომლებმაც შეარყია რეჟიმისგან გაყინული, შებოჭვილი აზროვნება, ჩაითრია მეცნიერული ძალები, ახალგაზნა მწერლები. სწორედ ისინი, რომლებიც ხელისუფლებისგან პრივილეგიურ მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებულნი. ასე თანდათანობით წარმოიშვა პროგრესიული აზროვნება და იგი დღეს უპირისპირდება გაბატონებულ კომუნისტურ-კონსერვატიზმს. პირველი გამოხატავს ცხოვრებისგან წამოყენებულ რეალურ მოთხოვნილებას, ძლიერია მორალურად და იძლევა მომავლის პერსპექტივებს, მეორე ბატონობს დაყრდნობილი ძალადობაზე, რეპრესიებით ბოჭავს მას და გასაქანს არ აძლევს.

მართალია ლიბერალურ აზროვნების ჩანასახს ჯერჯერობით არ აქვს კონსტრუქტიული პროგრამა, ნათლად გათვალისწინებული ქვეყნის მომავალი პოლიტიკურ-სოციალური ეკონომიური ფორმა, მაგრამ სხვადასხვა სოციალურ ფენებში დაწყებული საზოგადოებრივი ცხოვრების დუღილი თანდათანობით იპოვის განმანთავისუფლებელ მოძრაობის სწორ და ერთ მთლიან კალაპოტს. შეუძლებელი არაა გარდა-მავალი ხანა იყვეს მძიმე დრამატული მოვლენებით სავსე; მაგრამ ისტორიულ აუცილებლობას რუსეთი ვერ აცდა, საიდანაც გამოვლინდება რუსი ერის ნორმალური სახელმწიფოებრივი ცხოვრება. თვით რუსის ხალხის მომავალი, მისი სასიცოცხლო ინტერესი მოითხოვს ამ მოძრაობის საბოლოო გამარჯვებას. იგი უსათუოდ აახლოებს ჩაგრულ ერთა განთავისუფლებას.

ცხადია ჩვენი თანაგრძნობაც მას არ აკლდება...

რა გვარი მიმართულებანიც არ წარმოიშვას და ჩამოყალიბდეს, ჩაგრულ ერთა და კერძოთ ქართველი ერის მოთხოვნილება, მისწრაფება რჩება ურყევი, გარდაუვალი, აღდგენა საკუთარი სუვერენობის, დამოუკიდებლობის, თავისუფლების.

ერთა შორის მეგობრულ ურთიერთობის დამყარება. შეიძლება მხოლოდ თითოეული ერისადმი თავისუფლების მინიჭებით. სწორუფლებიანობაში იქედება ხალხთა მეგობრობა და არა უთანასწორობაში და ერთი-მეორეს ჩაგვრაში. ეს უნდა მიიღოს, შეიგნოს და შეითვისოს რუსის საზოგადოებრიობამ—ამ ნიადაგზე შეიძლება მომავალში—მეგობრობის დამყარება. ამიტომაც ჩვენი ლოზუნგი იგივეა: «თქვენი და ჩვენი თავისუფლებისთვის».



306 მოამზადა და გადასწავიბა საქართველოს დაკავრება

ოქტომბრის შეთქმულების მეორე დღესვე ლენინი თავის შტაბით შეუდგა სამხადის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების, კვრძოთ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსასპობად.

პარტ. ცენტრალური კომიტეტი ლენინის მითითებით და უშუალო ხელმძღვანელობით ალაღვენს და რაზმავს პარტიულ ორგანიზაციებს, აძლევს მას ნივთიერ დახმარებას, უგზავნის ასობით პროპაგანდისტებს, ინსტრუქტორებს. 1919 წელს მოწვეულ იქნა ამიერ-კავკასიის კომპარტიების კონფერენცია, რომელიც მორჩილებას უცხადებს რუსეთის კომპარტიის ცენტრს, აღიარებს მის წამყვან როლს და გამოსთქვამს სურვილს რომ, ცენტრი ლენინის მეთაურობით დაეხმარება ადგილობრივ ძალებს ამიერ-კავკასიაში მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დასამყარებლად. არჩეული დელეგაცია, რომელიც წარსდგა ლენინის წინაშე, იღებს მისგან დალოცვას და 50 მილ. მანეთით დახმარებას. ხშირდება აქა-იქ საქართველოში, — რუსეთიდან შემოსულ ემისრებიდან მოწყობილი მცირერიცხოვანი ჯგუფის გამოსვლები, რომლებსაც თვით ადგილობრივი მცხოვრებნი ადვილად ბოლოს უღებენ...

1920 წლის იანვრის დღეებში ორჯონიკიძე და კიროვი არწმუნებენ მოსკოვს, რომ კავკასიაში ფართოდ მოედო აჯანყებები და ითხოვენ აჯანყებულთა დასახმარებლად გამოიგზავნოს შეიარაღებული ძალები...

ჩვენი მეზობლები ადრე დაეცნენ... ამ ხანებში საქართველოს მთავრობა მოლაპარაკებას იწყებს ლენინთან. ჩვენი წარმომადგენელი მოსკოვშია, როცა სომხეთიდან წითელი ჯარები წინ მოიწვევენ და სასტიკ დამარცხებას განიცდიან ფოილოს ხიდთან. მიუხედავად ამისა ორჯონიკიძე იარაღს არ ყრის და უდევრებებს ლენინს 4 მაისის თარიღით:

«მოვლენები ვითარდებიან ჩვენდა სასარგებლოდ და იმედი გვაქვს 15 დღეში თბილისში ვიქნებით»-ო...

ლენინი იძულებულია საქართველოს მიერ სასტიკი თავდაცვის ცნობების გამო, დაწყებული მოლაპარაკება გააგრძელოს და ბრძანებას აძლევს ორჯონიკიძეს — შეაჩეროს სამხედრო ოპერაციები საქართველოს წინააღმდეგ.

ალბად ორჯონიკიძე ურჩობას იჩენს და აგრძელებს თავდასხმებს, რის გამო ლენინი განმეორებით ცინიკურ ბრძანებას აძლევს «შეაჩერეთ საქართველოს «თვითგამორკვევა» ო. მისგანვე იურიდიულად ცნობილ საქართველოს თურმე ესაჭიროება «თვითგამორკვევა» მოუხდინოს წითელ ჯარებმა.

შეიძლება ბოროტება ამაზე შორს წავიდეს? მერე და ვინ არის ამ ცინიზმის და ბოროტების წყარო? თვით ლენინი და სხვა არავენ.

1920 წლის 7 მაისს, მოსკოვის მთავრობა ცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას.

ლენინმა შესცვალა ტაქტიკა. ქართველ კომუნისტებს მიეცათ ლეგალური არსებობის უფლება. საქართველო განაგრძნობდა ინტენსიური მაშტაბით აღმშენებლობას, ხოლო მოსკოვი კი აზნაუნიდა ემისრებს, ფულს; კანონიერ, — ხალხისგან არჩეულ მთავრობის წინააღმდეგ მასსების ასამხედრობლათ. როცა ვერავითარ შედეგებს ვერ აღწევს მოსკოვი და მისგან მოსყიდული პირები, კვლავ თხზავენ, საქართველოში მუშათა და გლეხთა აჯანყებას და კომუნისტი-ისტორიკოსი, დოქტორი ისტორიული მეცნიერების ქვანია სიტყვა სიტყვით აღიარებს:

«პარტიის მეთაური დაწმუნდა, რომ საქართველოვს განაბტყეებისთვის ნიადაგი მძმზადგებულია» *).

და ლენინი უზნავნის დეპეშას მე-11 არმიის სამხედრო საბუქს: «ცეკა იმ აზრს ემზრობა, რომ ნება დართოს მე 11 არმიას მზარი დაუქიროს აჯანყებას საქართველოში და დაიკაოს თბილისი»-ო.

ლენინმა კარგად იცოდა, რომ საქართველოში არავითარ აჯანყებას ადგილი არ ჰქონია. გლეხებსა და მუშებს არასდროს მიუმართავს წითელი ჯარებისთვის დასახმარებლად. ლენინი როცა ჩვენი ქვეყნის ცნობაზე ხელს აწერდა, მის ბოროტ აზროვნებაში უკვე გადაწყვეტილი იყო საქართველოს დაპყრობა, რაც ზემოდ მოყვანილ მოვლენათა აღნუსხვა ნათლად ააშკარავებს. ერთი წუთითაც რომ დაუშვათ, ჰქონოდა ადგილი რაიმე აჯანყებას, ლენინმა ხომ იცო საქართველოს ხელშეუხებლობა, რა უფლებით შეეძლო მას ჩვენი ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევა?

ისტორიულ სინამდვილეს ვერ წაშლის ვერც მოსკოვი და ვერც მისგან დაქირავებული ფალსიფიკატორები...

ოქტომბრის შემდეგ ლენინის გადაუდებელი ამოცანაა რაც შეიძლება დაჩქარებით ბოლო მოუღოს საქართველოს ეროვნულ თავისუფლებას. გაძარცვოს იგი, ჩამოსახლდეს ჩვენს მიწა-წყალზე, გაიხსნას გზა სამზრეთისკენ. დაუკავშირდეს უცხოეთის ბანებს ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის გატანით. გაიჩინოს შავ-ზღვაზე სამხედრო ბანები, გადააქციოს ჩვენი ქვეყანა რუსეთის კოლონიად. რა ეწოდება ყველა ამას თუ არა მტაცებლური იმპერიალიზმი? და აი მისი ავტორი, გამტარებელი და ხელმძღვანელი არის ლენინი.

* იხ. გ. ქვანია—«ზარია ვოსტოკა» № 94. 21.4.61 წ.

«გაფრთხილებთ უპუროდ ვსხედვართ ტრანსპორტის გამო, ვერც ვაგონს და ვერც ერთ მატარებელს ვერ მოგცემთ, იძულებული ვართ კავკასიიდან ვეზიდებოდეთ მხოლოდ პურსა და ნაფთს».

და რაცა თბილისი უკვე დაკავებულია, ლენინი უდევშებს ორჯონიძის:

«სრულიად შეუძლებელია მე-11 არმიის დაბრუნება შშივრ და გაძარცვულ აზერბაიჯანში, მიიღეთ ზომები მე-11 არმია დატოვებულ იქნას საქართველოში»-ო.

ლენინმა იცის, რომ საქართველოში შიმშილობა არ არის და მისი ჯარებიც იქ უნდა დარჩეს. ინსტრუქციებს უგზავნის საქართველოს რევკომს, რათა ჭიათურისა და ტყვარჩელის მადანი დაუყონებლივ გატანილ იქნას უცხოეთში პურზე გადასაცვლელად. ცხადია ლენინი ფიქრობს თავის ჯარების გამოკვებზე და არა ქართველების ნივთიერ მდგომარეობაზე. გავიხსენოთ ისიც თუ როგორ იყიდა ზავი საქართველოს ხარჯზე და გადასცა ოსმალეთს ბათუმ-არდაგან-ყარსის ოლქები...

ლენინი მუდამ ურჩევდა თავის მიმდევრებს ესარგებლა ყოველგვარი მეთოდებით, თუნდაც უზნეო ამორალურ-უპატიოსნობით,—დასახული მიზნის მისაღწევად. თვით რუსეთის მიმართ, რომლის შვილი ის იყო, ისარგებლა გერმანიის სამხედრო შტაბის დახმარებით.

ლუდენდორფი სწერს თავის მემუარებში: «ლენინის გაგზავნილი ჩვენმა მთავრობამ აიღო თავის თავზე უდიდესი პასუხისმგებლობა. ამ გამგზავრებამ გაამართლა თავისი მიზანი სამხედრო თვალსაზრისით, საჭირო იყო რუსეთის დამხობა-დამარცხება»-ო...

ცნობილია ლენინის უარყოფითი შეფასება რუსის ხალხის, რომელსაც ის ასეთი ეპიტეტებით უმანსპინძლებოდა: «ლაპშა», «ტრიპაკი», «ნეისპრავიმიე ბარანი» და სხვ.

ასეთი ადამიანი, შაძაგებელი საკუთარი ერის, განაქართველ ხალხს დაინდობდა და მის თავისუფლებას მოითმენდა?

განა მან არ იცოდა, რომ პატარა საქართველო, ერი დიდი კულტურის, მუდამ მზად იყო სამეგობრო ხელი გაწევდინა რუსეთისთვის, ყოფილიყო მასთან მჭიდრო ეკონომიურ ურთიერთობაში? რასაკვირველია იცოდა. მაგრამ თვითმპყრობელური სული, დესპოტიური იმპერიალიზმი, კომუნისტური მისტიციზმი მსოფლიო ბატონობის სურვილით შეზავებული, მოაქანებდა მას კავკასიის ერების დასამორჩილებლად. საქართველო მისთვის იყო ერთი ერთეული მრავალთა შორის. მაშასადამე მის მომავალზე და მის ბედნიერებაზე ფიქრიც არ შეეძლო. მისთვის ხომ სამშობლო არ არსებობდა, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატი და პერმანენტული სოციალისტური რევოლუცია.

დღეს თითქოს უარყვეს პიროვნული კულტი სტალინის

სახით, წამოასკუპეს ლენინი და წარა-მარა გაიძახიან «მართალია ლენინი—დაშნაშავეა სტალინი». აი მთელი ფილოსოფია, რომელითაც სურთ დღეს იდეურად გაკოტრებულ კომპარტიის სიმართლედ დაფარონ. როცა ლენინი უცხოეთიდან ჩამოვიდა, მან საყვედურით მიმართა თავის ამხანაგებს, თუ რატომ ხელისუფლება არ აიღეს ხელში.

ყველას გიჟურად მოეჩვენათ ნათქვამი, მაგრამ მისი მაგარი შუბლი არ შერყეულა. ის დაეყრდნო «ქუჩას» ე. ი. უფროგახიზაციო და პოლიტიკურად გაუწრთენელ მასხას, ხალხის სტიქიას, ომით დაღლილ-დაქანცულ ჯარისკაცებს. იმოქმედა მათ გრძნობებზე, გაჰვივრებანზე, უეცილობაზე და ეს თავისი დოქტრინა გამოიტანა ერთ დიდ მიტინგზე, რაც დაათავა ცნობილ მოწოდებით: «გრამ-ნაგრამლენოე». ნეჩაევის მიმდევარი, კიდევ დაეშვა პუგაჩოვის მოძღვრებამდე და დარჩა მისი ტყვე სიკვდილამდე.

სტალინმა გააღრმავა ეყოფ-ბერიათი ჩეკური სისტემა.

სტალინი პირმშო შვილია ლენინის, არ ყოფილიყო ეს უკანასკნელი არ იქნებოდა სტალინიც...

და აი დღეს ამ გაღმერთებულ კერპს, რომელიც ფუძემდებელია პოლიციურ სახელმწიფოსი მისი ერთგული «პარტ-აპარარჩიკების» კასტა, ფუფუნებაში შეცურებული უხდის მადლობას და დღესასწაულობს მისი დაბადების დღეს. საქართველოს დამპყრობელის სადიდებლად მობილიზებული ყველა კულტურული ძალები: პოეტები, მწერლები, არტისტები, მსახიობები. დანიშნულია პრემიები. ჯიბრია გამართული ვინ უფრო უკეთ შეაქებს, აფიდებს, აღმერთებს იმ ადამიანს, რომელმაც გაამეფა ჩვენში ტერორი. ფიზიკური და სულიერი მონობა.

ხალხისგან მოითხოვენ ცეკვა-თამაშს, ზეიმს და მხიარულებას. ის რაც ხდება დღეს ჩვენს ქვეყანაში უდიდესი შეურაცყოფაა ერის, შელახვაა მისი სულის, მისი ეროვნული ღირსების, დაცინვაა მისი ტკივილების, მისი გულის წუხილის, სასაცილოდ აგდებაა მისი წმინდათა-წმინდის, მისი სულიერი თავისუფლების.

მან შემოგვისია ჯარები, მაშასადამე მისი ხელები იმ ქართველთა სისხლით გაისვარა, რომლებიც ეკვეთენ შემოსულ დამპყრობელთ. საქართველოს ტერიტორიაზე მოფენილია ლენინის ძეგლები, ბიუსტები. მათი შემყურე ქართველობის გულში ტირილია და ზიზღი, ვინემ ზეიმი და მხიარულება.

ამდაგვარად საქართველოს დაპყრობის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი, მისი ეროვნული თავისუფლების და სუვერენობის მომსპობი არის ლენინი, რომელმაც გამოიყენა ქართველი რენეგატები და მოლალატენი სტალინ-ორჯონიკიძეები,—დასახულ მიზნის მისაღწევად.

პლატონ ლეჟავა.

მცირე შენიშვნები ღილ საკითხავზე.

მაცხოვრის ყრილობა

მსოფლიოს მრავალ მნიშვნელოვან მოვლევებში თითქმის შეანელებს მოსკოვში ჩატარებული კომუნისტური პარტიების ყრილობის მნიშვნელობა. ჩვენთვის კი იმდენად საგულისხმეოა ამ ყრილობისგან გამოწვეული შედეგები, რომ საჭიროდ მიგვაჩნა მათ უმთავრეს მხარეებს შევეხეთ.

ყრილობის მიღწევებში ვერ გაამართლეს მოსკოვის იმედები, რომელიც მიზნად ისახავდა: ჩინეთის გარიცხვას და გაკიცხვას, ჩეხო-სლოვაკიაზე მომხდარ აგრესიით გამოწვეულ მისთვის უარყოფითი შედეგების შეწყვეტას და აქედან კომუნისტური მოძრაობის მთლიანობის აღდგენას და მოსკოვის როგორც ხელმძღვანელ ცენტრად აღიარებას. თითქმის ყველა საკითხს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც აქვს მოსკოვის საგარეო და საშინაო პოლიტიკისთვის, ამიტომაც მათი დაღებიტად გადაწყვეტისთვის მზადება, რამოდენიმე წლის უკან დაიწყო. მოსამზადებელ კომისიის სხდომებზე დაპეშტში, ბრეჟნევის განზრახვას, ჩინეთის შეესახებ. წინ აღუდგენ უცხო კომპარტიის წარმომადგენელი. ყრილობაზე დასწრების პირობათ წამოაყენეს ჩინეთის გასამართლების მოხსნა; რომ ყრილობის მოწვევა არ ჩაშლილიყო, ბრეჟნევი დათანხმდა. ხოლო გაცემული სიტყვა არ შეასრულა. სასტიკად თავს დაესხა ჩინეთის კომუნისტურ პარტიას, რამაც გამოიწვია უცხო პარტიებისგან მოსკოვის შეიარაღებული თავდასხმის დაგეგმვა ჩეხო-სლოვაკიაზე. ამ დაპირისპირებით გამოაშკარავდა ის ღრმა განსხვავება, რაც უცხო კომპარტიებსა და მოსკოვს შორის დაგროვილა.

გამოირკვა, რომ აღარავინ ღებულობს მოსკოვის ხელმძღვანელ ცენტრად აღიარებას, არამედ ყველა მოითხოვს ავტონომიურ უფლებას შინა-ორგანიზაციულ საკითხებში და რაც ყველაზე უფრო აღსანიშნავია თითქმის პარტიისთვის ნაციონალურ ფარგლებში გროვულ თავისებურებასთან შეფარდებით სოციალისტურ საზოგადოების მშენებლობას, ერის დამოუკიდებლობას და მის სუვერენობის ხელშეუხებლობას.

დღევანდების სიტყვებში აშკარად მოსჩანდა ჩეხო-სლოვაკიის ტრადიციის გამოძახილი.

ამგვარად მოსკოვის ცენტრად აღიარება და კომინტერნ-პროფინ ჯერის დაარუნების აურვილები დაიმსხვრა.

ბრეჟნევა, მიუხედავად მისი მრისხანე სიტვისა, ვერ შეძლო ჩინეთის შესახებ ერთი სიტყვა ჩაერთო მიღებულ რეზოლიუციებში. ამავე დროს რუსები იძულებულნი გახდნენ მოთხოვნილება ნაციონალურ უფლებათა შესახებ მათაც მი-

ელთ, მაგრამ აქვს კი რაიმე ღირებულება ამ მნიშვნელოვან უფლებების აღიარებას, როცა ერთი კვირის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრი გრომიკო აცხადებს: «საბჭოთა საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს სოციალისტურ მონაპოვარის დაცვა ყოველგვარი საშუალებით, სადაც კი მას საშიშროება მოელის» ო.

აქედან სჩანს, რომ მოსკოვს არ მოუხსნია ე. წ. ბრეჟნევის შეზღუდული სუვერენობის დოქტრინა.

ყრილობაზე მხოლოდ ერთი რეზოლიუცია იქნა მიღებული ყოველგვარ დავის გარეშე: დაგმობა კაპიტალისტურ იმპერიალიზმის.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მუდამ იმეორებს მოსკოვი ამ სახის რეზოლიუციას, რომ ამით დაფაროს ის იმპერიალისტური მტაცებლობა რომელიც მან ჩაიდინა ათეულისი ერის მიმართ.

ერთი დიდი დამსახურება მიუძღვის ყრილობას. მან საქვეყნოდ გამოაშკარადა კომუნისტური მოძრაობის დაშლად საქსაქსევა, რომლის შედეგები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ მას შემდეგშიც დაუბრუნდებით.

ღრმაგი პოლიტიკა.

საბჭოთა პრესა გამუდმებით ბრალს სდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს და დასავლეთ გერმანიას, რომ ისინი ცდილობენ, თავიანთ გავლენის მოხდენით ცენტრალურ ევროპის ქვეყნებში, გამოიწვიონ ნაციონალური, ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის სურვილი. უკანასკნელ ხანებში მოსკოვი ცდილობს შესცვალოს თავისი დამოკიდებულება დასავლეთთან. ეძებს გზებს, საშუალებებს მასთან მოსარიგებლად, და თანამშრომლობის აღსადგენად.

საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას არა ერთჯერ ჰქონია წირსულში ასეთი პერიოდები. ჩეხოსლოვაკიაზე აგრესიის შემდეგ მან მიიღო უფრო აქტუალური ხასიათი.

დამახასიათებელია ამხრივ გრომიკოს განცხადება (იხ. «პრავდა» 11.7.69) «ჩვენი მთავრობა მუდამ დიდ მნიშვნელობას აძლევდა ამერიკასთან დამოკიდებულებას. ჩვენ გვსურს ის გადაიქცეს მეგობრულ ურთიერთობათ, რადგან დარწმუნებული ვართ ეს უპასუხებს ორივე ქვეყნის ინტერესებს»

ნიქსონის შეჭრას სოციალისტურ ბანაკში, ბუქარესტში სტუმრობით, რომელიც ტრიუმფით მიიღო მცხოვრებლებმა, არ შეუთრყევია მოსკოვის საგარეო პოლიტიკის სტრატეგია და განაგრძობს მშვიდობიან პანგების ქლერას.

მაგრამ დახვთ მოსკოვის მმართველთა ორმაგ საგარეო პოლიტიკას თუ როგორ გამოიხატება, და მათ გულწრფელობას, როცა მოსკოვში კომუნისტურ ყრილობაზე ბრეჟნევი ცეცხლს აფრქვევდა კაპიტალისტურ ქვეყნების წინააღმდეგ, კიცხავდა მათ იმპერიალისტურ პოლიტიკას; ამხრივ მიღე-

ბული რეზოლიუციები სრულ წინააღმდეგობაში არიან იმ საგარეო პოლიტიკასთან, რომლის სამშვიდობო და სამეგობრო ნოტები უკანასკნელად ვრცელდება, ოფიციალური სამშვიდობო განცხადებების გვერდით, საბჭოთა პრესაში გრძელდება ანტიამერიკული პროპაგანდა, უმთავრესად ახალგაზღვრაში. უტყუარი ცნობებიდან სჩანს, რომ მასში იზრდება ინტერესი ამერიკის საზოგადოებრივი ცხოვრების გასაცნობათ.

საბჭოთა პრესა აფრთხილებს უმთავრესად ახალგაზდა ჯარისკაცებს: «რომელმაც ღრმად უნდა შეიგნოს-შეისწავლოს ამერიკის იმპერიალიზმის მიზნები, მისი საგარეო პოლიტიკის რეაქციონური ხასიათი»-ო.

სამინაო ფრონტზე ამ გააფთრებულ იერიშების მიტანით თავისუფალ ქვეყნების მიმართ, მოსკოვს სურს შეანელოს, მიმდინარე საგარეო პოლიტიკისგან გამოწვეული «მაენე» გაველენა, — საბჭოთა საზოგადოებაზე.

დასავლეთ გერმანიის მიმართაც სალაპარაკო ენა შეიცვალა. უკანასკნელ ხანებში ხშირად მეორდება, რომ საბჭოთა რუსეთის მუდმივი სურვილი იყო, არის და იქნება დას. გერმანიასთან მეგობრული კავშირის აღდგენა.

თუ მოსკოვი მუდმივ თავდასხმებს აწარმოებდა ატლანტიკის თავდაცვითი კავშირზე, ახლა აღმოჩნდა რომ, კავშირში ყოფილა მიმდინარეობა, რომელიც ილწვის ბოლო მოუღოს დღეს არსებულ დაძაბულ მდგომარეობას.

დროა ვიკითხოთ თუ რამ აიძულა მგელი ცხვრის ტყავში გახვეულიყო? რა ფასი აქვს მის ფერიცვალობას და მშვიდობიანი პანგების ამღერებას? პირველი მიზეზია ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმა და უხეში ძალით იქ გაბატონება, რამაც დაუკარგა მოსკოვს ნდობა დასავლეთის საზოგადოებრივი აზრის წინაშე და რაც უმთავრესია ოფიციალურ წრეების. აუზმედრდა თვით უცხო კომუნისტური პარტიები, დაარღვია კომუნისტური მოძრაობის მთლიანობა, სწორედ იმ დროს, როცა მას ესაჭიროებოდა ჩინეთთან კონფლიქტის გამო მათი მხარის დაჭერა და დახმარება.

არა ნაკლებ მნიშვნელობისაა და შეიძლება გარდამწყვეტიც იყვეს შინაური საზოგადოებრივი ცხოვრებისგან წარმოშობილი მოვლენები, რომლებიც ხშირად განსაზღვრავენ საგარეო პოლიტიკას. აი ეს შინაური ფაქტორები უკარნახებენ საბჭოთა მთავრობას გარეგნულად მაინც ეძიოს დასავლეთში მეგობრობა, მიმხრობა და მხარის დაჭერა... ეკონომიურ კრიზისებისა და თუ სოციალური ძვრების გასწვრივ აღსანიშნავია, საბჭოთა ახალგაზღვრაში შექრილი სულიკვეთება, რასაც უმთავრესად შეაქვს რყევა და გამოფხიზლება ახალგაზდა ჯარისკაცებში. საინტერესოა ამხრივ თვით საბჭოთა პრესის აღსარება (იხ. «კომ-ური პრავედა» 4.6.69):

«ახალგაზღვრა უარყოფითად ხვდება სამხედრო სამსა-

სურს, მას სთვლის «დაკარგულ დროთ». ორგანო აღნიშნავს რომ ახალგაზდობას არ გაუფლია «კლასიური სიძულვილის სკოლა, არ არიან კლასიურად მომწიფებულნი, ამხინჯებენ ჰუმანიზმის გაგებას, ვერ ითვისებენ ომის საშიშროებას» («კომუნისტი» 13.1969 გვ.30). იმავე ორგანოს აღიარებით ახალგაზდობა ხედავს, არ გამართლდა იმედი იმისა, რომ ომი გამოიწვევდა კაპიტალიზმის მოსპობას, პირიქით იმან შესძლო შეგუებოდა ეპოქის პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებას და ევოლიუციის გზით შეენარჩუნებია თავისი არსებობა...

როცა ეს წერილი იწერება ჰაგაში მიდის ევროპის ექვს სახელმწიფოს წარმომადგენელთა თათბირი, რომლის მიზანია ნიადაგის მომზადება, ამა თუ იმ ფორმით—ევროპის პოლიტიკური კავშირის დასაარსებლად. საბჭოთა პრესა მტრულად შეხვდა ამ უდიდეს ისტორიულ ფაქტს. ევროპის გაერთიანება განა რეალური გარანტია არ იქნებოდა მშვიდობიანობის დასამყარებლად, არა მარტო თავისუფალ ქვეყნებს შორის, არამედ იგი უდიდეს გავლენას მოახდენს ქვეყნიერების სხვა კუთხეებში დაძაბულ მდგომარეობის შესანელებლად. ა სადაო საკითხების მოსაგვარებლად. აშკარაა, რომ მოსკოვს სურს ევროპის ისეთი ერთეულის შექმნა სადაც მას დაეკისრება წამყვანი როლი.

რა აშინებს მოსკოვს? ინგლისის შემოსვლით გაერთიანებაში, ევროპა გახდება ძლიერი, დამოუკიდებელი. მოსკოვის ანგარიშში ეს არ შედის, მას აღარ შეეძლება დასავლეთის თავისუფალ ქვეყნებთან ცალცალკე მისთვის ხელსაყრელი ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის დამყარება. მას შიშს გვრის ის გარემოება, რომ დასავლეთის თავისუფალი დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკური კავშირი იქნება ის წყარო, საიდანაც თავისუფლების შუქი შეანათებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც მისი პოზიციები, ისედაც ძალზე შერყეულია.

თუ მართლა მოსკოვს სურვილი აქვს დასავლეთთან მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს, ხალხთა შორის მეგობრულ განწყობილების აღდგენას ხელი შეუწყოს, განა შეუძლებელია გაერთიანებულ ევროპასთან პოლიტიკურ-ეკონომიური მეგობრობა დაიკაოს?

არა, მოსკოვის საგარეო პოლიტიკის ახალ ორიენტაციონზე ლაპარაკი ზედმეტია, იგია უფრო პოლიტიკური სტრატეგიისგან წარმოშობილი გეგმა. უკვე დახელოვნებულ მიხვევ-მოხვევა თავისუფალ ქვეყნების თავდაცვითი სისტემის დასასუსტებლად.

შეუძლებელია თავისუფალ ქვეყნების მესვეურთ ეს არ ესმოდეთ.

ა. მაღრმიძე.

„კოალიციური კარუსელი“

(წერილი გერმანიიდან)

მიმდინარე წლის ორ ოქტომბერს გაზეთ «კომუნისტში» მათავესებულია კორესპოდენცია ბონიდან ირონიული სათაურით «კოალიციური კარუსელი». ის ეხება გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკის ახალი მთავრობის შედგენას, რასაც კორესპოდენტი ვინმე ბორინოვი «კოალიციურ კარუსელს» უწოდებს.

შეესაბამება კი ეს ირონიული გამოთქმა იმას, რაც მოხდა და ხდება ახლა გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბონში?

ვალაპარაკოთ ფაქტები:

28 სექტემბერს გერმანიის ფედერატიულ რესპუბლიკაში ჩატარდა ნამდვილი დემოკრატიული, ვიმეორებთ — ნამდვილი დემოკრატიული არჩევნები. ნამდვილ დემოკრატიულ არჩევნებს ვუწოდებთ ჩვენ ისეთ არჩევნებს, რომელშიც ამომრჩევლებს არჩევანი ის საშუალება აქვს, ესეიგი ამომრჩეველს შეუძლია სხვადასხვა პარტიებსა და სხვადასხვა კანდიდატებს შორის ამოარჩიოს ის პარტია და ის კანდიდატი, რომელიც მას მიაჩნია პოლიტიკურად მისაღები. და სწორედ ასეთი არჩევნები ჩატარდა გერმანიის ფედერატიულ რესპუბლიკაში მიმდინარე წლის 28 სექტემბერს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 13 პოლიტიკურმა პარტიამ თუ პოლიტიკურმა დაჯგუფებამ; და გერმანულ ამომრჩევლებს მართლაც რომ დიდი ჩაფიქრება დასჭირდათ ამოერჩიათ ის პარტია და ის კანდიდატი, რომლის გაგზავნა მათ სურდათ ბონში, გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკის დედაქალაქში, მომავალი ოთხი წლის განაჯობაში, ამ 13 პოლიტიკურ პარტიასა და დაჯგუფებას აქვს თავისი წარმოდგენა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაზე და გერმანიის მომავალი სურთ წარმართონ თავისი პოლიტიკური მრწამსის მიხედვით; და განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ პოლიტიკურ პარტიებს შორის იყო არამარტო გერმანიის ნაციონალური პარტია, რომელსაც მოსკოვი ნაციონალური პარტიას უწოდებს, არამედ ამასთანავე გერმანიის კომუნისტური პარტია; და ისიც განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გერმანელმა ამომრჩევლებმა არც ერთი — ე. ი. გერმანიის კომუნისტური პარტია — არ წარგზავნა ბუნდესტაგში, ე. ი. გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოში.

ამომრჩევლების დიდმა უმრავლესობამ ხმები მისცეს დემოკრატიულ პარტიებს—ქრისტიანულ დემოკრატიულ კავშირს, სოციალდემოკრატიულ პარტიას და ლიბერალურ პარტიას; და—როგორც ჩანს—ეს ალევებს საკდესის ბონელ კორესპოდენტს—ი. ბორისოვს. კომპარტია, ისე როგორც ნაციონალური პარტია—სასტიკად დამარცხდენ და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის ბუნდესტაგში. როგორც აღვნიშნე, წარმოდგენილი არ იქნებია. კომპარტიამ მიიღო ხმების მხოლოდ 0,6 პროცენტი.

ბუნდესტაგში ქრისტიანულმა პარტიამ გაიყვანა 242 დეპუტატი, სოციალდემოკრატიულმა პარტიამ—224 დეპუტატი და ლიბერალურმა პარტიამ 30 დეპუტატი; კონსტიტუციის თანახმად სწორედ ამ პარტიებიდან უნდა შესდგეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალი მთავრობა; და სწორედ ამ ახალი მთავრობის შედგენას უწოდებს საკდესის კორესპოდენტი «კალიციურ კარუსელს». სინამდვილეში აქ «კარუსელთან» კი არ გვაქვს საქმე, არამედ მთავრობის დემოკრატიული გზით შედგენასთან. რომლის დროს შესაძლებელია, კანონის ფარგლში, სრულიად მშვიდობიანად, ერთი მთავრობა შეიცვალოს მეორე მთავრობით. ვინაიდან ამომრჩევლების უმრავლესობას ეს ასე სურს. ვინაიდან დემოკრატია ხალხის ბატონობას ნიშნავს, მთავრობას ადგენს ის პარტია თუ პარტიები, რომლებსაც ხმა მისცა ამომრჩევლების უმრავლესობამ. საკითხს სწყეტს უმრავლესობა და ეს რომ დემოკრატიის ერთერთი ძირითადი პრინციპია, ეს, ვფიქრობთ, სადაო არ არის. და აი, სოციალდემოკრატიული პარტია და ლიბერალური პარტია შეთანხმდნენ შეადგინონ კალიციური მთავრობა. ამ ორ პარტიას ბუნდესტაგში ერთად ეყოლებათ 254 დეპუტატი, ქრისტიანულ პარტიას კი 242 დეპუტატი, ე. ი. ახალ მთავრობას ბუნდესტაგში მხოლოდ 12 დეპუტატი მეტი ეყოლება. თუ, რა თქმა უნდა, ყველა ხმას მისცემს კალიციური მთავრობის პოლიტიკურ ხაზს. ქრისტიანული პარტია კი, რომელიც ოცი წლის განმავლობაში მმართველი პარტია იყო, მოექცევა ოპოზიციასში.

ამგვარად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სრულიად ოფიციალურად, კონსტიტუციის თანახმად, ხდება ერთი მთავრობის შეცვლა მეორე მთავრობით. ამომრჩევლების სურვილის თანახმად. და განა ამას შეიძლება ეწოდოს «კალიციური კარუსელი», როგორც ამას წერს ი. ბორისოვი გაზეთ «კომუნისტის» ორი ოქტომბრის ნომერში? და თუ ამ ნამდვილ დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ წყობილებას «კარუსელს» ადარებს ბორისოვი, რას უნდა შევადაროთ მაშინ მოსკოვის პარტხელმძღვანელობის სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელშიც ერთადერთი პარტია—კომპარტია—ბატონობს აგერ 50 წელიწადზე მეტია და არავითარი ლეგალური, ე. ი. კონსტიტუციით განსაზღვრული საშუალება არ არ-

სებობს ამ პარტიის ბატონობა შესცვალოს მეორე პარტიამ — ამომრჩევლების სურვილის თანახმად!..

ჩვენ, ქართველებს კი ამ მხრივ დიდი დემოკრატიული ტრადიცია გვაქვს: საქართველოს დამოუკიდებლობის დროს — 1918-21 წლებში — საქართველოში არსებობდენ მრავალი დემოკრატიული პარტიები და დაჯგუფებები. 1919 წლის საქართველოს საპარლამენტო ნამდვილ დემოკრატიულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 12 პოლიტიკურმა პარტიამ და დაჯგუფებამ; აქედან საქართველოს დამფუძნებელ კრებაში სოციალდემოკრატიულმა პარტიამ გაიყვანა 109 დეპუტატი, სოციალისტ-ფედერალისტურმა პარტიამ — 8 დეპუტატი, ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამ — 8 დეპუტატი და სოციალისტ-რევოლუციურმა პარტიამ — 5 დეპუტატი, ე. ი. საქართველოს დამფუძნებელ კრებაში წარმოდგენილი იყო ოთხი დემოკრატიული პარტია.

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს მმართველ პირველად კოალიციური მთავრობა, ხოლო არჩევნების შემდეგ სოციალდემოკრატიული მთავრობა, ე. ი. დამოუკიდებელი საქართველო იყო ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფო, რომლის ბედიბალს, რომლის პოლიტიკურ ცხოვრებას სწყვეტდა ამომრჩევლები თავისუფალ დემოკრატიულ არჩევნებში.

სწორედ ასეთი დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა ახლა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რომლის შედეგად ხდება ძველი მთავრობის შეცვლა ახალი მთავრობით სრულიად ლეგალურად, ამომრჩევლების სურვილის თანახმად; ხოლო მეორე პარტია, ე. ი. არამართველი პარტია იბარებს ოპოზიციის როლს, და ოპოზიციური პარტიის არსებობა, ოპოზიცია პარლამენტში, — ესეც დემოკრატიული წესწყობილების კანონიერი, აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

მართლაც რომ პროპაგანდის ყოველგვარ საზღვრებს ცდება საკდესის ბონელი კორესპონდენტი — ბორისოვი, როცა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის ამგვარი დემოკრატიული წესით მართვა-გამგეობას, მთავრობის შედგენას «კოალიციურ კარუსელს» უწოდებს ისეთი რიხით, რომ თითქოს საბჭოთა კავშირის ცენტრალური მთავრობა ნამდვილი დემოკრატიული წესით იყოს არჩეული! ცნებათა ასეთი აღრევა განსაკუთრებით სავალალოა იმიტომაც, როცა ქართული გაზეთი «კომუნისტიც» იძულებულია ბორისოვის ეს მართლაცდა «გონით კარუსელის თამაში» — გადაბეჭდოს თავის ფურცლებზე!

კ. ინახარიძე.



რომანი „ფარისცვალობა“

სოლჟენიცინი რომანში «ივან დენისოვიჩის ერთი დღე» ავგიწერს სტალინურ საკონცეტრაციო ბანაკებს, ნოდარ დუმბაძე თავის ბრწყინვალე რომანებში, ომის დროს და სტალინური ეპოქის რეპრესიებს, სილაკაური «აბჯლის დაბრუნება»-ში, შეგნებული კომუნისტის აბელის ჩეკა-გეპეუს სარდაფებში წამებასა და გადასახლებას. მწერალი ვახო ჯრჯუმელაშვილი თავის უკანასკნელ რომანში «ფერისცვალობა» ეხება დღევანდელ თბილისს, ქალაქის ადამიანებს, მათ ცხოვრებას, ჟირსა და ვარაზს. თუ დუმბაძისა და სილაკაურის გმირები ასე თუ ისე მაინც ერთგულნი რჩებიან პარტიის და სიმბახინჯეს მხოლოდ ცალკეულ ჩეკისტებში და ჩინოვიციებში ხედავენ, მწერალ ჯრჯუმელაშვილს ელიზბარის და ირმა ისეთ გარემოებაში ჰყავს აღწერილი, რომ ისინი იღუპებიან როგორც ადამიანები და ამაში ბრალი მიუძღვის არა ცალკეულ ჩეკისტებსა და ბოზოლა ბიუროკრატებს, არამედ საბჭოთა სისტემას მთლიანად. ეს კი სიანსკეთ უნდა ჩაითვალოს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

მოკლედ ამ რომანის შინაარსი: ახალგაზდა, ღარიბი და მამით ობოლი ელიზბარის ნახევრად მშვიერი უმალღეს სასწავლებელშია. იგი მალე ინჟინერი იქნება. ირმასკი ექიმის დიპლომი აქვს. გატაცებული იდილიის შემდეგ, ირმა და ელიზბარი ქორწინდებიან. მაგრამ მათთვის ერთი პატარა ოთახიც არ არის «სოციალისტურ» ქალაქში. ქორწინების პირველ დამეს ახალგაზრდაწერილები მეგობრის პატარა და ნესტიან ოთახში ატარებენ. მაგრამ ელიზბარი და ირმა გულს არ იტეხენ. აი ელიზბარიც მალე დაამთავრებს უმალღეს სასწავლებელს და ყველაფერი კეთილად მოეწყობა. ისინი ხომ სოციალისტურ საზოგადოებაში ცხოვრობენ, მაშ ყველაფერი კარგად მოეწყობა მომავალში...

მაგრამ რომანის ამ ორი დადებითი ტიპის ტრაგედია სწორედ იქედან იწყება, საიდანაც ისინი პატროსანი წრემის საფასურად უბრეტენიო. მაგრამ კეთილ ცხოვრებას მოელიან. სოციალური უსამართლობა სწორედ იქ ელოდება წინ ახალგაზდა ცოლქმარს, სადაც ისინი ამას არ მოელიან. სოციალისტური საზოგადოება მათთვის ნამდვილი დედინაცვალი აღმოჩნდა: ინჟინერ ელიზბარისთვის სამუშაო არ არის. მისთვის ყველგან დაკეტულია კარები... ბოლოსდაბოლოს იგი ორ თუ სამ ადგილას სამუშაოზე მოეწყობა, მაგრამ არც თავის სპეციალობაზე ელიზბარს ჯერ მუშაობაც არ აქვს დაწყებული, რომ სამუშაოდან ხსნიან, თუმცა ინჟინერი ელიზბარი

უნარიანი და კეთილსინდისიერი მუშაკია. ასე წარმოგვიდგენს მწერალი მისთვის საყვარელ გმირს...

ირმა თუმცა სამუშაოს შოულობს, მაგრამ უფრო მისი სილაშაზის გამო. ირმას პროტექტორი დაინტერესებულია არა ირმას ცოდნითა და უნარით, არამედ მისი ლერწამივით მოქნილი ტანით, მოხდენილი მიხერა მოხვრით, სინატიფით, სილაშაზით, მოკლედ, სანებლიძე ირმაში მხოლოდ ლოგინს ზედავს...

ასეთი სოციალური სტრუქტურის გამო ეს ახალი, უბრეტენზიო და კეთილშობილი ოჯახი ინგრევა.

საბჭოთა საზოგადოებაში პატიოსანი მშრომელი ადამიანები უსამართლობის მსხვერპლნი არიან. მათთვის ყველ განხაფანგია დაგებული. «ვუჩივლებ», ამბობს ხაფანგში გაბმული სპეტაკი სულის ელიზბარი, მაგრამ იქვე მწარედ აღმოხდება გულიდან: «რამდენს უნდა ვუჩივლო?» და მთელი უბედურება სწორედ აქ არის. ერთ ან ორ გარეწარს კაცი როგორმე მოუვლის, მაგრამ ბრძოლა მთელი საბჭოთა გაბატონებული წოდების წინააღმდეგ, წოდებისა, რომელსაც ჯილასმა «ახალი კლასი» უწოდა, შეუძლებელია და ამიტომაც მარცხდება ელიზბარი და ირმა. და ეს ორი საბჭოთა ადამიანი, სხვა მილიონებთან ერთად, ბევრს როდი მოითხოვენ: «ეპ. რა ცოტა რამ სდომებია ადამიანს სიხარულისათვის!», ამბობენ საბჭოთა საზოგადოებიდან გარიყული ელიზბარი და ირმა. მაგრამ მათთვის ეს «ცოტა რამეც» არ არის. ამის გამო ირმას მწარედ აღმოხდება გულიდან: «ბაიკები ვართ. უძღურნი და უსუსურნი!»

სიყალბეს, ცბიერებას, მექრთამეობას, დასმენებს, უფროსებისადმი მოიქნელობას და ა. შ. სამოქალაქო უფლებები აქვს მოპოებული საბჭოთა სისტემაში. ეს ნათელი ზოლივით აშკარა გასდევს მთელ რომანს ბოლომდე: «თვიდან თვემდე გვწყინდება სიყალბე, ადამიანები ხომ სიმთვრალეში არიან გულწრფელნი!», ამბობენ წყნეთში მოქეიფე მშრომელები. და მართლაც ერთხელ რომ იყონ გულწრფელნი «ნუნუას» ეტანებიან. გადაპყარბებული არ იქნება თუ ვიტყვი. რომ ეს საკმაოდ რეალისტური და ფსიქოლოგიური მიგნებაა მწერლისა.

სად უნდა ვეძიოთ ახალგაზდა ინჟინრისა და მისი ოჯახის ტრაგედიის მიზეზი? რატომ არის, რომ საბჭოთა სისტემაში არ არის ადგილი პატიოსან და უნარიან ელიზბარისთვის და ირმასთვის? რატომ არიან ისინი ზედმეტი ადამიანები? ელიზბარისა და ირმას მთელი ტრაგედიის მიზეზი ის გახლავთ, რომ ისინი ვერ იცნობენ საბჭოთა სინამდვილეს. ისინი რიყეზე ამოვარდნილი თევზებია, განსაკუთრებით კი ელიზბარი. ელიზბარმა არ იცის, ან არ უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა სისტემაში პატიოსანი ალალი «პურის ქამა» შეუძლებელია. ის ვერ მიმხვდარა, რომ კომუნისტური იდეალები სა-

28206

საფლავზე განისვენებს და რომ, როგორც ამ რომანის ერთი საბუთია—ბობოლა—ბიუროკრატი ამბობს—“შეუძლებელია «30 ნიწლების კომკავშირელივით მსჯელობა». დრო შეიცვალა, საბუთია კავშირში გარკვეულად ჩამოყალიბდა ახალი არისტოკრატია, «ახალი კლასი». ის მტკიცედ არის მოკალათებული სათავეებში. სწორედ ეს არ სჯერა ელიზბარს და მა. რცხდება კიდევ. ხოლო უარყოფილი ტიპები და სახეები, რომლებიც მრავლად არიან მწერალ ურჯუმელაშვილს რომანში, კვლავ რჩებიან ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ სათავეებში. პარტია და მისი პრესაც ამ უკანასკნელთა მხარეზეა.

რომანი მთავრდება ელიზბარისა და მისი ოჯახის დაშლით, ხოლო ბოროტმოქმედთა კასტა, ზედმეტი მუწუკები, პარაზიტები, ხალტურისტები და ა. შ. კვლავ განაგრძობენ ჩვენი ქვეყნის სათავეში თარეშს.

ასეთი რეალისტური მიდგომა საბუთია სინამდვილისადმი, ჩვენის აზრით, მწერალ ვანო ურჯუმელაშვილის დიდ მიღწევას და დამსახურებას.

დ. ურატბძე.

ჩეხოსლოვაკია ვანაგრობს ბროლს.

მოსკოვმა შესძლო უხეში ძალით და ადგილობრივ მცირერიცხოვან ერთგულთა დახმარებით, ჩაეხრთ ერთი წლის უკან დაწყებული განმანათავისუფლებელი მოძრაობა ჩეხოსლოვაკიაში.

მოძრაობის დასაწყისშივე 2.000 სიტყვის სახელწოდების მანიფესტით გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის ინტელექტუალური ძალები.

დაპყრობის შემდეგ ამავე სახელწოდებით უშვებენ ახალ მანიფესტს, რომლის შესავალში ავტორები აღნიშნავენ ერთი წლის ოკუპაციის შედეგებს.

ისინი სხვათა შორის აღნიშნავენ:

«ჩვენი ერის უიღბლობა—მის გეოგრაფიულ მდგომარეობაშია, იგი მომწყვედულია ორ დიდ მოქიშპე სახელმწიფოთა შორის. ერთი მათში დღეს უძლიერესი, შეიარაღებული ძალებით იკავებს ჩვენს ქვეყანას, იმ საბუთით, რომ სოციალისტებს საშიშროება მოელის, მაშინ როცა სოციალისტი უკვე 20 წლის ბოროტი ხელმძღვანელობით წაბიწულ-შეღახულ იქნა.

1968 წელში ქვეყნის პროგრესიული ძალები შეეცადნენ, თავიანთ ეკონომიურ-სოციალურ რეფორმებით, სოციალისტების მიეცათ ჰუმანისტური შინაარსი. ამ ახალ, თავისუფლების აღმავალ გზაზე შესდგა მთელი ერი, უდიდესი

ენტუზიაზმით, ენერგიით, სოციალიზმის ნაციონალური თავისებურობით შენება, ერის ნებაყოფლობით, მშრომელი მასების მეშვეობით, მათზე დაყრდნობით, მათივე სასიცოცხლო ინტერესებისთვის.

საგარეო, უხეშ ძალამ აპკვეთა ეს გზა».

«ერთი წელია, რაც ჩვენ დავეკარგეთ დამოუკიდებლობა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ერის ცხოვრება ყოველმხრივ გაუარესდა. საქონელზე ფასები გაიზარდა. აკრძალულ იქნა ყველა თავისუფალი საზოგადო ორგანიზაციები. საზოგადოებრივ აზრს არავითარი გავლენა არ აქვს სახელმწიფო პოლიტიკის მიმართებაზე. დიდი სახელმწიფო საკითხები წყდება რამოდენიმე პირის მიერ. ცენზურის აღდგენით საშუალება ეძლევათ უცხო სახელმწიფოს ერთგულთ ამახინჯონ ფაქტები, მიმართონ ცილისწამებას, ჩაატარონ თავიანთ სასარგებლოთ სააგიტაციო კომპანიები. არავის უფლება არ აქვს მათ პასუხი გასცეს.

1969 წლის აპრილიდან გაძლიერდა წმენდა, დათხოვილ იქნა ხალხის ნდობით აღჭურვილი პირები, მათ ადგილზე დაინიშნენ მოსკოვის ერთგულნი და მორჩილნი.

ჩვენს ტერიტორიაზე ძალით შემოჭრილნი საბჭოთა ჯარები აწარმოებენ ისეთ აგიტაციას, რომელიც ხელს უშლის ორი ერის მეგობრულ დამოკიდებულების აღდგენას».

«ცნობილია; რომ სოციალისტები მუდამ ებრძოდნენ ძალადობას, უარყოფდნენ საიდუმლო დიპლომატიას, მოითხოვდნენ ადამიანის და ერის თავისუფლებას. დღეს ყველა ეს კეთილშობილური, მაღალი, ადამიანური იდეალი მოხსნილია, ფეხქვეშ გათელილია. მის ადგილზე წამოყენებულ ია—ძალადობა, რეპრესიები...»

«ჩვენ მოვითხოვთ გაუქმებულ იქნას ცენზურა; გაყვანილ იქნას საბჭოთა ჯარები. თითოეულ სოციალისტურ ქვეყანამ პატივი სცეს მეორე ქვეყნის დამოუკიდებლობას და სუვერენობას. სადაო საკითხები მოწესრიგდეს მშვიდობიანი, მეგობრული მოლაპარაკებით.

ჩვენ უარყოფთ კომპარტიის უფლებების, ხალხისგან არჩეულ ორგანოების მაღლა დაყენებას. დაუშვებლად მიგვაჩნია პარტიის წევრთა უპირატესობა დანარჩენ მოქალაქეებზე.

კომპარტიამ თვით უნდა დაიმსახუროს ხალხის ნდობა მის სამსახურში, მის ინტერესების, სურვილების განხორციელების საშუალებით.

სოციალიზმი არ ნიშნავს გამუდმებულ ბრძანებულობას, ყოველგვარ შევიწროებას. მხოლოდ თავისუფალ ადამიანთა თავისუფალ შემოქმედებას შეუძლია ააგოს ეკონომიკურად და მორალურად განვითარებული, სამართლიანობის საფუძველზე აგებული საზოგადოება.

ჩვენ მხარს უჭერთ იმ კომუნისტებს, რომლებმაც განიხრაახეს ადამიანური სახის სოციალიზმის მშენებლობა...

შოვეთხვით დაუყონებლივ გაიმართოს მოლაპარაკება უცხო ჯარების გასაყვანად და დამოუკიდებლობის აღსადგენად...»

როგორც ვხედავთ ჩეხოსლოვაკიის მოწინავე და ინტელექტუალი ძალები აგრძელებენ ბრძოლას. მათ უკან სდგას მთელი ხალხი დღეს იარაღ-აყრილი, მაგრამ სულით მტკიცე და შეუპოვარი.

ჩეხოსლოვაკიის წარსული ბრძოლის ისტორია თავდება იმის, რომ ის არასდროს შეურიგდება თავისუფლების დაკარგვას.

მთელი განათლებული კაცობრიობის თანაგრძნობა მის მხარეზეა, მათი გამარჯვება და თავისუფლების აღდგენა უდავოა.

ალ. ტატიშვილი.

უკრაინის ეროვნული მოძრაობიდან.

უკრაინელთა ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის ღებულობს ფართე ხასიათს, თანდათანობით ითრევეს სხვადასხვა წრეებს. უტყუარი ცნობები, რომლებიც ქვევით მოგვყავს ცხადყოფენ მოძრაობის სიღრმეს, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ კომუნისტური პარტიის წევრებიც კი... ეს გარემოება სერიოზულად აფიქრებს მოსკოვს და საგონებელში აგდებს.

ოცი წლის მანძილზე, სტალინმა ნაციონალური გადახრებისთვის ათასობით გაელიტა, გადაასახლა გლეხები, მუშები, ახალგაზდები.

დიქტატორის სიკვდილის შემდეგ თითქოს სიწყნარე ჩამოვარდა. რამოდენიმე წლის შემდეგ ბრძოლის ასპარეზი დაიკავეს ახალმა ძალებმა. მათ ამოძრავებას მისდა უნებურად ხელი შეუწყო, როცა ყოველგვარი საშუალებით შეეცადა რუსიფიკაციის ჩატარებას.

უკრაინის ნახევარ ტერიტორიაზე ჩამოსახლეს რუსობა. მთავრობისგან შევიწროების და დაწოლის შედეგად ერთიმე-სამედი მოწაფეებისა რუსულ სკოლებში დადიან და სხვ.

უკრაინის მოსახლეობამ იგრძნო, დაინახა. შეშფოთდა, რომ ის კარგავს ეროვნულ სახეობას, კარგავს ნაციონალურ თავისებურობას, კარგავს რაც მისთვის ყველაზე უფრო ძვირფასია.

პირველ ხანებში მოსკოვი მალავდა მოძრაობის მნიშვნელოვან ფაქტებს, ასე მაგალითად:

1958 წელს ქ. სტანისლავში *) დაპატიმრებულ იქნა «უკრაინის განთავისუფლების პარტიის» ხელმძღვანელობა, რასაც მოჰყვა მასსიური დაჭერები.

ერთი წლის შემდეგ ქ. ლვოვში აღმოაჩინეს «მუშათა და გლეხთა კავშირი», რომელშიც შედიოდნენ ახალგაზდა მუშები და სტუდენტები. კავშირს გამოუშვია არაერთი ფურცელი, მანიფესტი, სადაც იგი ამხელს, ამქავენებს საბჭოთა სისტემის უფარგისობას უმთავრესად მოსკოვის კოლონიალურ პოლიტიკას და მოითხოვს უკრაინის დამოუკიდებლობას. ერთი ფურცელი ასე თავდება: «უკრაინის პოლიტიკური და ნივთიერი მდგომარეობა უკეთესი იყო ძველი მეფეების დროს ვინემ დღეს. კერძოთ გლეხობის შრომის პირობები არაფრით განსხვავდება ძველებურ ყმობიდან»...

1961 წელს ქ. ლვოვში აღმოჩენილ იქნა სამი საიდუმლო ორგანიზაცია. გასამართლების დროს პოლიტიკური ტუსაღები ეყრდნობოდნენ საბჭოთა კონსტიტუციას და აცხადებდნენ:

«აკი სწერია მე-17 მუხლში, რომ ყველა ერს აქვს გამოყოფის უფლება, რადგან მთავრობა თავის დაწერილს არ ანხორციელებს, ჩვენ ვკისრულობთ მის შესრულებას» ო.

რასაკვირველია არავითარი საბუთი არ სჭირს. პატრიოტები უბრუნდებიან ციხეს, იგზავნებიან გადასახლებაში.

ხშირია, როცა გასამართლების დღეს, სასამართლოს შენობას გარს ერტყმის ხალხი და როცა ტუსაღთა მოჰყავთ—მას ესვრიან ყვავილებით შეკრულ თაიგულს. შეძახილებით «სლავა» (იგულისხმება «გაუმარჯოს»).

ჯერჯერობით ცხადია, მოსკოვი ადგილობრივ მცირერიცხოვან ერთგულთა შემწეობით ანადგურებს მოძრაე ძალებს და ბატონობს. ხოლო თითოეული რეპრესიული ნაბიჯი აღელვებს ხალხს და მოძრაობაში ითრევის.

დღევანდელი უკრაინის ეროვნული მოძრაობა იმით განსხვავდება ძველ რომანტიულ პატრიოტიზმისგან, რომ იგი ეყრდნობა ინდუსტრიალიზაციის ნიადაგზე წარმოშობილ შეგნებულ ახალგაზდა ტექნიკურ ძალებს.

რაც დრო გადის ნაციონალური დამოუკიდებლობის იდეა, ხდება დინამიური და თავგანწირული ბრძოლის საგანი.

X.

*) Contra Social. № 4. 1968.

გ მ ი რ თ ა ლ ა ნ დ ე ბ ი .

(ნიკო ქოჩინაძის დაბადების ასი წლისთავზე)

ამბავი ძველი ათასწლოვანი
პონტოს ნაპირებს რომ ეხეთქება,
შეუჩერებელ ქამთა ტრიალი.
და სისხლიანი წვიმის წვეთება.

არსებობს სადღაც ქვეყანა ერთი,
სადღაც კი არა, სულ ახლოს ჩვენთან--
ჩვენი გულის და ხორცის ნაფლეთი,
განუყოფელი სამშობლო—დედა.

დედას ვეძახით და სული კვენისის,
დედაო ჩვენო! დედაო ღვთისა!
რად მოკვდევ მიწა მადლით ნათესი,
ან ის გარე შემ რად მიითვისა!

ამ მიწას ბევრი იცავდა წინად,
ამ მიწას ეხლაც ბლომად ჰყავს მცველი:
რამდენი კოტე, ცოტნე, ბიძინა
და წამებული თევდორე მღვდელი.

სამშობლო ვის არ ჰქონია, მაგრამ
ჩვენი სამშობლო—სულ სხვა თვალისა;
ასე ლამაზად ვინ შემოქარგა
მიწა ქეთევან დედოფალისა!

მან შვა მრავალი სახელოვანი.
მანვე შვა შოთა, ილია, ნოე;
დღესაც ხელთა გვჰყოფს სრულ ასწლოვანი,
დიდ სახელებთან თანამეცხოვნე.

ზოგი ქარიშხალს ქედს უხრის მუხთლად,
ზოგს სიკვდილისაც არ ეშინია;
ჩვენ კი მადლობა იმ დედებს უთხრათ,
რომელთ ნოები გაუჩენიათ

თითქოს განსულა ჩვენგან ბელადი,
ის მაინც მრჩევილად მოგვეჩვენება,
მხოლოდ მშობლიურ მიწა ფერადი
მას არ რგებია დასამშვენებლად.

ვიცით რომ გვიდგას დრო მუხანათი,
მაგრამ არ აფრთხობს უდაბნო აქლემს;
სანამ გვინათებს გზას ნოეს ლანდი,
ვერვინ შებღალავს ჩვენს მართალ საქმეს.

გაივლის დრო და როგორც ნალვერდი,
იხულებს ხალხის ხმა და დიდება,
და თეთრფრთიანი მშვიდობის მტრედი
საქართველოშიც ჩამოფრინდება.

გვტ. აბულაძე.

გ მ ი რ ი — მ წ ე რ ა ლ ი .

მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო იმ ხელისუფლების-გან, რომელიც დღიდან თავის გაბატონებისა დაეპატრონა ადამიანის თავისუფალ შემოქმედებას, მის გონებას, ნიქსა და ინტელექტუალურ შესაძლებლობას.

ცეცხლითა და მახვილით ჩააყენა გაბატონებულ სახელმწიფო აპარატის სამსახურში. ორმოცდაათი წლის მანძილზე მაინც ვერ შესძლო მწერალთა დანიშნულების შეზღუდვა და შევიწროება. გამოჩნდნენ ათეულები, გმირულად რომ აღმართეს დროშა თავისუფლების, ამოიღეს ხმა უხეშ ძალადობის წინააღმდეგ და თავიანთი მხატვრული ნაწარმოებით სასტიკი განაჩენი გამოუტანეს საბჭოთა დიქტატურის სისტემას. ამათში პირველი ადგილი უჭირავს მწერალ სოლჟენიცინს. მისმა შრომებმა, მისდა დაუკითხავად, საიდუმლოდ გადმოლახეს საზღვრები; გადათარგმნილი, გადაბეჭდილი იქნა ევროპიულ ენებზე. მიიპყრო განათლებული კაცობრიობის სამართლიანი ყურადღება, მისი ღრმა აზროვნებითა და ანალიზით. მწერალი აღიარებულ იქნა მსოფლიო მნიშვნელობის შემოქმედათ. გათანაბრებული ლ. ტოლსტოისთან და დოსტოევსკისთან.

შეშფოთდა მოსკოვის ხელისუფლება, სიმართლისა და თავისუფლების შიშმა აიტანა იგი; ისედაც მიყრუებულ პროვინციაში ჩამწყვდეულ, განაწამებ ავადმყოფ მწერლის წინააღმდეგ ამუშავა თავის ერთგული მწერალთა კავშირის გამგეობა. მწერლის დაუსწრებლად, დაუკითხავად ის გამოირიცხული იქნა კავშირიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ესპობა საარსებო წყარო, ესპობა თავის შრომის დაბეჭდვა.

ამ სასტიკ და შეუწყნარებელ განაჩენისთვის მწერალს თავი არ დაუხრია, პატიება არ უთხოვია. თვითკრიტიკა არ გაუკეთებია—პირიქით, მას შეხვდა კეთილმშობლიური, ოლიმპიური სიდინჯით და გმირულად შეუტია დაქირავებულ მსაჯულებს შემდეგი სიტყვებით:

«გრცხვენოდეთ საკუთარ წესდების ფეჩქვეშ გათელისთვის... ნუ თუ შეშინდით, ჩემთვის მოგეცათ, თუნდაც ათიოდე წუთი სალაპარაკოდ?»

თქვენი საათის მაჩვენებელი ჩამორჩა—დროს; გადასწიეთ ფარდები და დაინახეთ, რომ გარეთ უკვე სინათლეა. წავიდა ის დრო როცა სულის შემხუთავ დროს თქვენი მსუბუქი გულით გამოირიცხეთ ახმატოვა, პასტერნაკი და სხვები. ნუ თუ აღარ გყოფნით ამდენი სასირცხვო საქციელი? თქვენ გსურთ ის გააღრმავოთ, მაგრამ იცოდეთ, რომ დადგება დრო, როცა თითოეული თქვენთაგანი შეეცდება ჩქარა წაშალოს თავის ხელმოწერა—თქვენმიერვე გამოტანილ განაჩენზე»...

შემდეგ სოლჟენიცინი ამხელს მოსკოვში მოკალათებულ მწერალთა კავშირის გამგეობის უმრავლესობის მიერ ჩადე-

ნილ აქტს, რომელიც ნაყოფია სიბეცის, შუბრიანობისა და სიძულვილის და ასკვნის: «დროა დაიმახსოვნოთ, რომ ჩვენ ვეკუთვნივთ კაცობრიობას. ადამიანი განსხვავდება ცხოველისგან ენითა და აზროვნებით, მაშასადამე ადამიანები უნდა იყვნენ თავისუფალნი და თუ ისინი შებოჭვილ-შემუსვრელნი არიან, ჩვენ ჩავარდებით პირუტყვეულ მდგომარეობაში. ყოველმხრივად და პატიოსნურად გაცნობა საზოგადოებისთვის ჩვენს გარშემო მომხდარ მოვლენებისა—არის წმინდა მოვალეობის ასრულება ყოველი საზოგადოების და ჩვენი საზოგადოების წინაშედაც...» და სხვ.

განა შეისმენს ამ დიდი მწერლის ჭეშმარიტ სიტყვებზე ფუფუნებაში შეცურებული და მოსყიდული კალმოსნები? არ გვგონია, მაგრამ დღეს აშკარად მოსჩანს, რომ სოლჟენიცინის პიროვნების მსხვერპლად მიტანილ,—თავისუფალი აზრის მიწისწრაფება გაძლიერდება, გაიზლება და თანდათანობით ჩაითრევს ახალ-ახალ ძალებს.

ბრძოლა ადამიანის თავისუფლებისთვის დაწყებულია და ის დამთავრდება მისი გამარჯვებით. პასი.

ზ ბ კ ვ რ ი თ.

საბჭოთა კონსტიტუციაში არის მუხლი, რომელიც ნებას აძლევს, საბჭოთა იმპერიაში მოქცეულ ერებს. თუ ისინი მოისურვებენ, შეუძლიათ გამოეყონ ცენტრს ე. ი. მოსკვს. ალადგინონ დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო. ნახევარი საუკუნის მანძილზე ერები იბრძვიან იმისთვის, რა მ მოიპოვონ ერთგული თავისუფლება. მათ უმასპინძლდება მოსკოვი რეპრესიებით; სამაგიეროთ საგარეოთ. გულ უბრძვილოთა თვალის ასახვევად მათ ტერიტორიაზე ბიუროკრატიული ქსელით მოფენილია სამინისტროები. არიან მინისტრები. რომელთა მოვალეობას შეადგენს მოსკოვიდან მიღებულ გეგმათა და ბრძანებათა შესრულება. ამათ რიცხვშია ჩვენი ქვეყანაც.

ამ დღეებში ვტყობილობთ: არსებობს საგარეო საქმეთა სამინისტრო და მინისტრი. ჯერ იყო კუჭავა, შემდეგ გიგოშვილი. ახლა დაუნიშნავთ ჩიგოვადე. ამ ხნის განმავლობაში არავის სმენია მათი დამოუკიდებლად გამოსვლა დიპლომატიურ ასპარეზზე.

მხოლოდ ერთჯერ ეღიბრა კუჭავას ერთა კავშირში გამოჩენილიყო, როგორც თანმხლები რუსის დელეგაციისა; ერთ-ერთ კომისიის სხდომაზე გამოჩნდა, და როგორც სჩანს მოინდომა საქართველოს სახელით ლაპარაკი, რომ მაშინვე საფრანგეთის წარმომადგენელმა. დღევანდელ საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნ შუმანმა შეუტია.—გაახსენა საქართველოს დაპყრობა, მისი კანონიერი მთავრობისგან ტერიტორიის დატოვება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გაუქმება. და რომ მას, კუჭავას არავითარი უფლება არ აქვს სა-

ქართველს სახელით ილაპარაკოს, რის შემდეგ «მინისტრ» კუჭუავამ ბარგი აიკრა და აღარ გამოჩენილა.

შეცვლის ამ მდგომარეობას ჩიგოვადე, ძალიან სურვილიც რომ ჰქონდეს? არა. ვერ შეცვლის, რადგან იგი მოხელეა და არა სუვერენობის მატარებელი; მას იმის უფლებაც არ აქვს ქართველი ადამიანი უცხოეთში გამოუშვას, თორემ ერის სუვერენულ უფლებების გამოხატვანე ლაპარაკი ზედმეტია.

ერთა კავშირში უკრაინასაც ყავს თავის წარმომადგენელი და მერე რა? ყოფილა ოდესმე შემთხვევა უკრაინა გამოსულიყო თავის საკუთარი საგარეო პოლიტიკით? მის წარმომადგენელს ევალება ერთა კავშირში უსიტყვოთ ხელი ასწიოს. მხარი დაუჭიროს მოსკოვის წარმომადგენელს.

ბ-ნი ჩიგოვადის მოვალეობა უბრალოა, საქართველოში ტურისტათ ჩასული უცხოელები მიიღოს თუნდაც დიდი პასუხისმგებელნი—რომლებიც მოსკოვში თავიანთ საქმეების მოგვარების შემდეგ მიდიან მზიან ქვეყანაში დროს გასატარებლად. ხოლო პრესაში ეს სალდება დიდ დიპლომატიურ მიღებათ. ასეთია სამწუხაროდ საქმის ფაქტიური მდგომარეობა და ამის შეცვლა რადიკალურად მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა საქართველო აღადგენს დამოუკიდებელ ცხოვრებას და დაიბრუნებს თავის სუვერენულ უფლებებს. ქართველობა კარგად ხედავს საკუთარი ქვეყნის უუფლებობას და ერთვებულ-პოლიტიკურ ვითარების სინამდვილეს.

ამირანი.

სღვიალ. ინტერნაციონალი და ჩეხოსლოვაკია.

სოციალისტურმა ინტერნაციონალმა გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის პირველი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით. განცხადებაში ნათქვამია, რომ ჩეხოსლოვაკელი ხალხის მისწრაფების უხეშმა ჩახრჩობამ საბჭოთა ინტერვენციით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ კომუნისტურ ქვეყნებში ადამიანები მტკიცედ მისწრაფიან ადამიანისა და ერის თავისუფლებისაკენ.

სოციალისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ სხვა სოციალისტური ქვეყნების შეზღუდული სუვერენიტეტის თეზისის წამოყენებით საბჭოთა ხელმძღვანელობა უფლებას იტოვებს თავისთვის, ჩაერიოს მათ შინაურ საქმეებში შეიარაღებული აგრესიის ჩათვლით.

განცხადებაში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ მანამ, სანამ კომპარტიები პოლიტიკურად, მორალურად და მატერიალურად დამოკიდებულნი იქნებიან საბჭოთა კავშირზე თუ ჩინეთზე, მათ არ ექნებათ საშუალება—აწარმოონ დამოუკიდებელი გროვული პოლიტიკა.

დასასრულ სოციალისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ სოციალიზმი არ არსებობს დემოკრატიის გარეშე და დემოკრატია—თავისუფლების გარეშე.

6. ოკრაგველიძის გარდაცვალება.

ამა წლის 6 დეკემბერს პარიზის მახლობლად ლოვილში გარდაიცვალა საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი და საქართველოს დამოუკიდებლობის დროს სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ერთ ერთი ხელმძღვანელთაგანი კოლია (ნიკოლოზ) ორაგველიძე.

კოლია ორაგველიძე ცარიულ რუსეთის ხანაში პედაგოგიურ სარბიელზე მუშაობდა და ამავე დროს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მხურვალე არალეგალურ მუშაობას აწარმოებდა.

ჩვენს საამაყო დამოუკიდებლობის ეპოქაშიკი ჩვენს ნორჩ სახელმწიფოს დაცვა-შენებაში აქტიურ მონაწილეობასღებულაობდა.

ხოლო 1921 წელს—როცა საბჭოთა რუსეთმა ვერაგულად წარგეტაცა სამშობლო, დაგვინგრია მშობლიური კერა, კოლია ორაგველიძე მაშინაც ჩაებმის არალეგალურ მუშაობაში. მაგრამ უღმობელი ჩეკა მას აპატიმრებს და 62 ქართველთან ერთად 1922 წლის დამლევს საზღვარგარეთ აძეგებს. მისი მებრძოლი სული აქაც ვერ ისვენებს და ის მთელი თავისი არსებით, რითაცკი შეუძლია, ცდილობს ქართულ საქმეს ემსახუროს.

მაგვშორდა მტკიცე რწმენის ქართველი კაცი, მტერთან შეურიგებელი, ყოველთვის და ყოველგან ქართული ერთობის მქადაგებელი, მუდამ სხვისთვის გულ ემატკივარი, ამხანაგისა და გაჭირვებულის დახმარების მუდმივი მზრუნველი, ხელის გამწდომი, თავაზიანი, მოყვარესთან გულლია და უბადლო სტუმართ-მოყვარე.

ემიგრანტულ სიძნელესა და სიმძიმეში—სიამესა, წყენის თუ გულისტკივილის დროს—კოლია ყოველთვის თავის-თავადი რჩებოდა და თავის პიროვნების ღირსებას მტკიცედ იცავდა. რასაკვირველია, მშობლიური ქვეყნისათვის უსწორა და სამართლიან ბრძოლაში დამარცხება მძიმე ტანჯვის ჯვარია. მაგრამ ამ ტანჯვის ჯვარს აცისკროვნებს მორალური სიმადლე, ბრწყინვალეობა, რომელიც ესოდენ ესმოდა კოლიას და აქედან იღებდა ის იმ მხნეობას, რომელიც მას სიკვდილამდე გაჰყვა.

კოლიას, უკანასკნელ სულის ამოთქმამდე ურყევად წამდა თავის სამშობლოს კვლავ მკვდრეთით აღდგომა და განსვენებულმა ამ რწმენით დასტოვა ეს წუთი-სოფელი.

კოლია ორაგველიძის დასაფლავება მოხდა 15 დეკემბერს სოფელ ლოვილის შმათა საფლავზე.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი.

მ. იმნაივილი.

ვ ა ს ი ლ ტ უ ლ უ შ ი

მიმდინარე წლის ივლისში გარდაიცვალა სოციალდემოკრატიული მუშაკი ვასილ ტულუში. ლევილში გათხრილ საფლავთან მის კუბოს ამკობდა თავისი ოჯახობის, სათვისტომოს, სოც.-დემ. პარტიის, თანამოაზრე მეგობრების, ლევილსანკერმენის ქართველებისა და სხვათა ცოცხალი გვირგვინები. ფრანგულად მხურვალე სიტყვით გამოემშვიდობენ სათვისტომოს თავმჯდომარე ბ ნი ლ. ზურაბიშვილი და მარტიანე მგელაძე, ხოლო ქართულად გამოსათხოვარი სიტყვა წაიკითხა მირიან მელუამ, რომელიც შემოკლებით მოგვყავს აქვე.

«ვასო ტულუში, რომ კარგი საზოგადოების კაცი იყო და სრული 45 წელი უფრთდგულესი გულისყურით ტრიალებდა ჩვენს სათვისტომოში, აქ დამსწრე საზოგადოებას ამისი გაცნობა არ სჭირია. მაგრამ არის იქ სამშობლოში, მის მიერ მოხდენილად შესრულებული პატრიოტული სურათები და აი, ეს მინდა მხოლოდ აღვნიშნო.

სამოსწავლო გადასახადის შეუტანლობით ფოთის სამოქალაქო სკოლიდან გამორიცხული, იგი ეწყობა სამუშაოდ შავი ზღვის პირას გემების დამტვირთველ «არტელში». კარგი ხასიათი და რუსული ენის ცოდნა მას საშუალებას აძლევს პატივისცემა დაიმსახუროს მთელი «არტელის» წინაშე. აქვე კითხულობს და სხვებსაც უკითხავს იმ ქაზად საქართველოში მომრავლებულ ქართულ დარუსულ გამოცემებს, ისმენს სხვადასხვა მოხსენებებს და იძენს მარაგს, რომ საკუთარი გონებრივი დაკვირვებით გაერკვას საჭირობოროტო კითხვებში.

ასე, რომ, როცა პეტროგრადში თებერვლის რევოლიუციამ იფეთქა და საქართველოს ფირუზ ცაზე განთიადი გამოჩნდა, ვასო უკვე მომზადებული და შეგნებული მოქალაქე იყო. ომის წყალობით ქართველი მამაცი ახალგაზდობის უდიდესი ნაწილი ხომ ჭუსეთის უზარმაზარ ფრანტზე იყო მიმოფანტული და მხოლოდ უმცირესი ნაწილი, თავისი პატრიოტული მოწოდებით შეკავშირდა, შეიარაღდა და ომისა და რევოლიუციის ცეცხლში გახვეულ ქვეყნის მფარველობას შეუდგა. ამ ქართულ რაზმში ეწერება ვასოც და მონაწილეობს დამოუკიდებლობის დროის ყველა თავდაცვის ბრძოლაში.

1920 წლის ზაფხულზე, ბოლშევიკური რუსეთის პირველ თავდასხმას ქართველი შეიარაღებული ძალები ამარცხებენ და ზავის ჩამოგდებას პროცესში, ვითომ «დამძობილების» მიზნით, რუსულად მოლაპარაკე ათეული ქართველი მებრძოლი იგზავნება დამარცხებულ რუსის ნაწილებში. ვასოც ამათრიცხვშია. ის სწრაფად ახდის ფარდას ბოლშევიკ პროპაგან-

დისტების გავრცელებულ სიყალბეს, ვითომ «ქართველები მონობაში ყოფილიყვნ ჩავარდნილი და გამოსახსნელად სპირდებოდათ რუსული ლაშქრის შემოსევა» და დამარცხებულ რუსებს დიდი შთაგონებით გადასცემს, რომ «ყველა ქართველი კმაყოფილია თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობით და თავგამოდებით იცავს მოპოებულ თავისუფლებას».

ოღონდ დამარცხებული რუსი ადვილად მიდის «დამობილებზე». ხოლო გამარჯვებული—სხვა ქვეყნების დაპყრობასა და დამონებას არის ჩვეული...

შემთხვევამ ისიც ისურვა, რომ რუსების მეორედ შემოსევას, 1921 წლის თებერვალში ვასო სანაპირო საგუშაგოზე შეხვედროდა. სომხური ფარაჯებით გადაცმული რუსები გაუფრთხილებლად თავს დაესხა იმ წინა პოსტს, რომელზედაც ვასო იდგა. პოსტის უმრავლესობა ელვის სისწრაფით იქმნა განიარაღებული. მცირე ნაწილი კი მდინარის პირს მიიჩინა—მდინარის, რომელსაც ვიწრო კალაპოტით, მთიდან მოვარდნილი, მკვირვ ტალღებათ ქცეული, ყინულოვანი წყალი მოქონდა... თავდადებულმა ქართველებმა დანებებას ამ მდინარეში გადავარდნა არჩიეს. ბევრი მადგანი ვერ გაუმკლავდა ტალღათა სიძლიერეს და იქვე ჩაიძირა. ზოგს წყალთან ბრძოლის დროს გაუხვრიტა თავი მომხდურების ტყვიამ. მხოლოდ ორმა შესძლო ნაპირს გადასვლა და ამ ორში ვასოც აღმოჩნდა. ნაპირგადასულები ხევში გაუჩინარდნენ და მოკრეფილი ძაღლივით გაექანენ უკანა პოსტის გასაფრთხილებლად. ვასომ ტელეფონით აცნობა უკან მდგომ სამხედრო ხელმძღვანელობას რუსების მოულოდნელი თავდასხმა და ტელეფონის ყურმილით ჯერ კიდევ ხელში ეჭირა, რომ მომხდურები მიუცვინდნენ და ეკაჩეს. თქმა არ უნდა, ამით მან დიდი სამსახური გაუწია ქართველ მებრძოლ ჯარს...

არც ბოლშევიკებს გამოპარვია ეს ამბავი. ვითომ სამხედრო ტყვეობიდან განთავისუფლებული დაპყრობილ სამშობლოში დააბრუნეს და მეორე დღესვე დაიპირეს, როგორც სოციალდემოკრატიული მუშაკი. მეტეხში ის აქტიური მონაწილეა ტუსაღთა იმ დიდი მღელვარების, რომელიც ჩვენს ეროვნულ ბრძოლაში საპატიო სახელითაა შესული. აქედან მას სამოცდაორთა რიცხვში საზღვარგარეთ გადმოასახლებენ.

საზღვარგარეთ კი იგი უბრძოლველად არ მინებებია უკუღმართ ბედს. უმწეო პირობებშიც კი მას განუახლდა თავისი სიყმაწვილის ოცნება—სწავლა. დაეწაფა და დაეუფლა ფრანგულ ენას და მიიღო დიპლომი მასაქების კეთებისა, რაც მისი პატიოსანი ცხოვრების წყაროდ გახდა. შექმნა, ჩვენს საზოგადოებაში საუკეთესოდ ცნობილი ოჯახი და განუწყვეტლივ ეწეოდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მუშაობას.

ვასოს გონებაში ეროვნულ თავისუფლებასთან დიდი პარმონიით იყო შერწყმული პოლიტიკური თავისუფლებაც და

სოციალური სამართლიანობაც. ეს ნათელი აზრი დახატა მან იმ შთამბეჭდავ სიტყვაში, რომელიც კომუნისტური კრემლის მიერ ჰუნგრეთში დაღვრილი სისხლის გამო წარმოსთქვა ორგანიზაციის კრებაზე. ასე იფიქრებდით, რომ ეს სისხლი საკუთარი გულის სიღრმიდან ეღვრებოდა მას. სიკვდილმა დღეს ამ პატრიოტული გულის მოძრაობა შეაჩერა, მისი მჩქეფარე სისხლის დენა შესწყვიტა, მაგრამ შეგვრჩა მისი ცხოველმყოფელი მოგონებები, რომელიც თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველის გზას ანათებს...

მშვიდობით საყვარელო ძმაო, მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო».

ქ ნ პელო (პელაგია) გეგელაშვილი.

ამა წლის 16 მაისს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის ქ. იცეპოესში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მოღვაწე მანდილოსანი პელო ჟორჯოლიანის ასული გეგელაშვილისა.

განსვენებული დასაფლავებულ იქნა იმავე ქალაქის სასაფლაოზე 1969 წლის 21 მაისს, სადაც განისვენებს მისი მეუღლე სიმონ გეგელაშვილი.

«ჩვენი დროშას» რედაქცია გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს მის ქალიშვილებს:

თამარს, თინას და ლილის ოჯახითურთ.

ექიმ გ. მალალაშვილის გარდაცვალება.

ბავარიის დაბა ზეებრუკში, ამა წლის 25 ნოემბერს, გარდაიცვალა, და იქვე დაასაფლავეს საზოგადო მოღვაწე ექიმი გიორგი მალალაშვილი.

«ჩვენი დროშა»-ს რედაქცია უღრმეს თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ძარტველოზა უცხოეთში.

აჯანყების 45 წლისთავი.

ამა წლის სექტემბერში საფრანგეთში მყოფ ქართველთა სათვისტომოს გამგეობამ დიდი პოლიტიკური მანიფესტაციის მოწყობით აღნიშნა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების წლისთავი.

დილით ს. ლევილის «შატოს» დარბაზში მამა ილიამ გადაიხადა საეკლესიო პანაშვიდი—აგვისტოში დაღუპულ გმირთა სულის მოსახსენებლად. ვალობდა საეკლესიო გუნდი.

პანაშვიდის გათაების შემდეგ ამავე დარბაზში მოსაგო-

ნარ სხდომას ხსნის სათვისტომოს თავმჯდომარე ბ-ნი ლ. ზურაბიშვილი. რომელიც აღნიშნავს ამ თარიღის დიდ ისტორიულ მნიშვნელობას.

თავმჯდომარის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ეროვნული მთავრობის ყ. წევრმა და ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ბ-ნ ნ. ცინცაძემ.

პ. სარჯველაძემ გააკეთა მოხსენება: «აგვისტო და ეროვნული მოძრაობის გზები».

სიტყვები წარმოსთქვეს: ბ. ბ. პოლ. ნ. თოხაძემ, ნ. ურუშაძემ და მ. ქავთარაძემ.

დასასრულ დამსწრენი ფეხზე დგებიან და მღერაინ ეროვნულ ჰიმნს «დიდებას», რის შემდეგ ეზოში გაშლილ, ქართულ სუფრას შემოუსხდნენ დამსწრენი. წარმოითქვა დღის შესაფერი სიტყვები.

26 მაისი პარიზში.

მიმდინარე წლის 24 მაისს, პარიზის ერთ დიდ დარბაზში, საფრანგეთში მცხოვრებ ქართველობამ დიდი ზემოთ გადაიხადა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე, 26 მაისი.

ზეიმი გახსნა სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ-ნი ლ. ზურაბიშვილმა. ფრანგულ და ქართულ ენაზე მიულოცა დამსწრე საზოგადოებას ეროვნული დღესასწაული. დამსწრენი ფეხზე ადგომით ისმენენ ეროვნულ ჰიმს «დიდებას»-ს და შემდეგ «მარსელიეზა»-ს.

სიტყვები წარმოსთქვეს დღესასწაულის საპატიო თავმჯდომარემ ბ-ნი აშილ მურატმა, და აგრეთვე პოლონეთის, უკრაინის, უნგრეთის წარმომადგენლებმა, ყველანი უსურვებდნენ ქართველ ერს—საქართველოს დამოუკიდებლობის და სუვერენობის აღდგენას ახლო მომავალში.

განსაკუთრებით მდიდარი,—შინაარსიანი იყო არტისტიკული ნაწილი—რისთვისაც საზოგადოება ფრიად კმაყოფილი დარჩა.

26 მაისი ხელმოწერილი.

ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად სოფოს ქართველობა შეიკრიბა სათვისტომოს ბინაზე. თავმჯდომარე ილ. სალუქვაძე დამსწრეთ მიესალმა მზურვალ სიტყვით. უსურვავა ქართველ ერს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენა.

შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ბ. ბ. სევ. ჰირაქაძემ, მელ. ელენტმა, ალ. შათირიშვილმა, რომელმაც წაიკითხა აგრეთვე ევ. აბულაძის ლექსი, რომელსაც პოეტი უძღვნის ნოე ქორდანისას ხსოვნას.

შემდეგ გაიშალა ქართული სუფრა, როგორც წინა წლებში, მალხაზი პატრიცია (ილ. სალუქვაძის შვილისშვილი) და მსწრეთ მკერდს უმშვევნებს პატარა სამფეროვანი დროშით...

ბ-ნ ვ. ნოზაძის მოხსენება.

ნოემბრის 9 ბ-ნ ვ. ნოზაძემ გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: ნაპოლეონი, სპარსეთი, საქართველო.

მომხსენებელმა მრავალი ახალი, ქართულ ენაზე გამოუქვეყნებელი, ფრანგული და სხვა წყაროების მიხედვით, ისტორიული ცნობები მოიყვანა ნაპოლეონის აზიურ პოლიტიკის შესახებ—საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის ბრძოლებთან დაკავშირებით.

მოხსენებამ გამოიწვია ცხოველი ინტერესი.

სასურველი იქნებოდა ბ-ნი ვ. ნოზაძე ცალკე წიგნად გამოსცემდეს თავის ნაშრომს.

ბ-ნ ნ. ცინცაძის მოხსენება.

საფრანგეთში მყოფ ქართველ ჟურნალისტთა და მწერალთა კავშირის გამგეობის მიერ მოწვეულ 14 დეკემბრის საზოგადო კრებაზე ბ-ნ ნოე ცინცაძემ გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე «საბჭოთა იმპერიის ბედი».

საფუძვლიანი და ფრად შინაარსიანი მოხსენება დაძაბული ყურადღებით იქნა მოსმენილი და გამოიწვია საინტერესო ბაასი.

ხომცხ სათვისტომოს კრება.

ამა წლის ივნისში შესდგა სოშოს სათვისტომოს წლიური კრება. მისი თავმჯდომარე ილ. სალუქვაძე აკეთებს მოხსენებას გასული წლის გამგეობის მოღვაწეობის შესახებ. კრება დამაკმაყოფილებლად სცნობს გამგეობის მუშაობას. ახალ გამგეობაში არჩეული არიან: ევტ. აბულაძე, გრ. ქვარცხავაძე. ქიშერიძე.

ვანღ ნანუაშვილის მრძება.

იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა, ჩვენი თანამშრომლის და მეგობრის ვ. ნანუაშვილის მორიგი რვეული ქართულ და ინგლისურ ენაზე: «მსოფლიოს ძალთა განწყობილება და დაპყრობილ ერების პოლიტიკური პოცენტრიალი».

შეძენა შეიძლება «ჩვენი დროშა» ს რედაქციაში.

«ჩვენი დროშა»-ს ფონდი.

უდროოდ გარდაცვლილ ჩემი მეუღლის ნინას ხსოვნის აღსანიშნავად «ჩვენ დროშას» ვწირავ 100 ფრანკს. კარლო ინისარიძე.

გრ. ბარამიძე	320 ფრანკი.
მოსე იმნაიშვილი	200 „
ალ. ტატიშვილი	200 „
ქალბატონი გოლდმანი	100 „
შალ. ჯაველიძე	100 „
ქრის, იმნაიშვილი	80 „
ვიქ. ხომერიკი	30 „
გერ. ბოლქვაძე	30 „
პ. სარჯველაძე	20 „
ერ. მაჭავარიანი	20 „
გ. გრიგოლაშვილი	20 „
ნ. ჯაყელი	20 „
კ. რიქაშაძე	10 „
ლ. ფალავა	10 „
გრ. წერეთელი	10 „
ლ. არველაძე	10 დოლარი.

დაიბეჭდა ქ-ნ თამარ პაპავას
წიგნით

„გ ა ბ ნ ე უ ლ ი ს ა ფ ლ ა ვ ე ბ ი“

შემდეგი შინაარსით:

დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი. ძია ლადო. გრიგოლ რობაქიძე, ბუხართან. კიტა ჩხენკელი. დავვიანებული მადლობა. ქაქუცა. ფიქრები წამებულ დედოფალ ქეთევანზე.

დამატება: დ. ვაშაძე—კნინი რამ აკაკი პაპავაზე. ბ. ბებურიშვილი—აკაკი პაპავას.

სურათები: ნოე ჟორდანიას. ნოე ჟორდანიას ძეგლი. ლადო ახმეტელი. გრიგოლ რობაქიძე. კიტა ჩხენკელი. ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ქაქუცა ჩოლოყაშვილის ძეგლი. ქეთევან დედოფალი. აკაკი პაპავა.

ყდის სურათი ნინო ჭეიშვილისა.

«ჩვენი დროშის» გამომწერა შეიძლება შემდეგ მისამართზე:

M-r Tatichvili

40, rue Jules Ferry 10

91. Leuville s/Orge. France.

Gerant: M. Stouroua.

Imprimerie Coopérative Arpajonaise, Arpajon.